№ 53 30 მაისს, კვირა 1866—1876 30 მაისს, კვირა № 53

**რედაქცია**
ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

**ხელის-მოწერა**
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроеба“.

**გაზეთის ფასი**
წლიწადში 8— მან., ნახევარ წლიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

**განცხადება**
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი.**
დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულია, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## საქართველო

### გამოწვევით მუშაობა

არსად არ გამოდგება დამალული საქმე; არსად არ ვარგა საიდუმლო ფარდის გადახურვა რომლისამე საზოგადო მოქმედებისათვის. დამალული, გამოუაშკარავებელი საქმე კაცს და საზოგადოებას ეჭვში შეჰყავს და ხშირად ისეთს რასმე უცნაურს მთიქრებინებს, რომელიც არც ნამდვილია და თვით მაგ საქმესაც ვნებს.

განსაკუთრებით არ ვარგა ამ ნაირად მოქმედება, როდესაც ხალხთან, უბრალო, გაუნათლებელს ხალხთან გაქვს საქმე. გაუნათლებელი ხალხი ყოველთვის უფრო თავის ხუთის გრძნობითა ცხოვრებს და ამიტომ ის თხოულობს, რომ ყველაფერი, რაც იმას შეეხება, ადვილად სახილველი, საგრძნობი, გასაგონი და გასაგები იყოს.

სამწუხაროთ, ეს ჭეშმარიტება ხშირად ავიწყდება იმ პირთ, რომელთაც ხალხთან რაიმე დამოკიდებულება და საქმე აქვთ.

მაგალითების ძებნისათვის შორს წასვლა საჭირო არ არის: ვილოთ, თუნდა, ის საგანი, რომლის თაობაზედაც ამ უკანასკნელს დროს ჩვენს გაზეთში და საზოგადოებაში ამდენი ლაპარაკი იყო.

კახეთის შოსსეს გაყვანაზე მოგახსენებთ.

ხალხი, ოც-და-თექვსმეტი სოფელი რამდენიმე წლის განმავალობაში ამუშავეს ამ გზაზედ, ამუშავეს და დღესაც ამუშავებენ. ჯერ თვითონ გზა გააყვანინეს; მერე რემონტიც იმათ კისერზედვე იყო დაწოლილი.

ხმა გავარდა ხალხში, (საფუძვლიანი იყო ეს ხმა, თუ უსაფუძვლო—ამაზე არას ვამბობთ), ხმა გავარდა, რომ ხალხი ვალდებული არ არისო, რომ ეს გზა აკეთოსო, რომ ამისთვის ხაზინისაგან ფული არის დანიშნულიო, ჩვენ არ გვირიგებენ, ვინ იცის—ვის მიაქვსო და სხვ. და სხვ.

უკმაყოფილება, საყვედური ჩამოვარდა ხალხში; ემდურიან ისეთს პირებს, რომელნიც, იქნება ამ საქმეში სრულებითაც არ იყვნენ დამნაშავენი.

ამგვარი შემთხვევები ათასია ხალხის ცხოვრებაში, რომ უმეცრებისა და გაუგებრობის წყალობით ხალხში უსაფუძვლო და შეუსაბამო ხმები ვრცელდება. ვინც არაფერი იცის, ის ყველაფერს მალე და ადვილად იჯერებს.

ერთი უბრალო საშუალებაა, რომელიც ძლიერ ადვილად იხსნის ხალხსაც და იმ დაწესებას და პირთაც, რომელთაც ეს საქმე შეეხება, ყოველ ამ გვარს მდგომარეობაში. ე'ს საშუალება არის კანონისა და მმართებლობის განკარგულების გამოცხადება სახალხოთ. ხალხმა ნამდვილად, ზეჯითად უნდა იცოდეს, თუ რა შეადგენს იმის მოვალეობას, იმის უფლებას, რას სთხოვს იმას კანონი და სხვა და სხვა.

როგორ წარმოებს ახლა ეს საქმე? რომელიმე პრისტავი მივა სოფელში ან მამასახლისს მისწერს, რომ ამა-და-ამ დროსთვის ამა-და-ამ სოფლების ხალხი გამოიყვანე სამუშაოთო, ესა და ეს გზა ან სხვა რამ სახელმწიფო, სათემო საქმე უნდა გააკეთონო.

ხალხი მმართებლობის ბრძანებას ემორჩილება; გამოდის სამუშაოდ. მაგრამ გამოჩნდება ერთი ვინმე, რომელიც—არ ვამბობთ კიდევ: საფუძვლიანად თუ არა—ხალხში ხმას აგდებს, რომ სულ ტყვილა გამუშავებენ, ხაზინისაგან ფულებია ამ საგნისათვის დანიშნულიო, გართმევენ ამ ფულს, თქვენ გირგებათ, მოითხოვეთ და მოგცემენო. ერთი ამნაირი ხმა საკმაოა, რომ ხალხმა დაიჯეროს, და ატყდება ერთი დაუბოლოვებელი ლაპარაკი, საჩივარი და სხვა.

ვიმეორებთ, რომ ამისთანა შემთხვევაში უბრალო საშუალება არის საკმაო: ის რომ ჯერ, სანამ რასმე საქმეზე დააყენებდეთ ხალხს, სანამ რომელსამე მუშაობაზე გამოიყვანდეთ, გამოუცხადეთ კანონი, გამოუცხადეთ უმაღლესი მმართებლობის განკარგულება, რომლის ძალითაც ის გამოწვეულია, რომლის ძალითაც ის ვალდებულია, რომ ამუშაოს მუქთად ან ფასით.

ამნაირად შეიძლება ყველა საყვედური, ყველა უკმაყოფილება აიცილოთ თავიდამ და წმინდათ დარჩნენ ამ საქმეში ის პირნი, რომელნიც, იქნება, სრულებითაც არ არიან დამნაშავენი.

ს. მ.

### დღიური

ამ თვის 25-ს კომისიამ დაურიგებია გორში განცხადება ქალაქის ახალი გამგეობის ამორჩევის თაობაზე. ამ განცხადებიდამ სჩანს, როგორც ამბობენ, რომ გორში ხუთას-სამოც-და-თოთხმეტს (574) პირს აქვს ხმა ამორჩევაში მონაწილეობა მიიღოსო. მცხოვრებლებში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ თურმე ამ ჟამად ამ საგნის თაობაზე. ჩვენი კორრესპონდენტი იწერება, რომ ახლავე დანიშნული ჰყავთ პირები, რომელთაც უპირებენ მომავალ ქალაქის რჩევაში

## ფელეტონი

### ფრანც პალაცკი

ამ თვის დამდეგს პრაგაში გარდაიცვალა საუკეთესო შვილი ჩეხიისა—ფრანც პალაცკი.

ისტორიული ჭეშმარიტებაა, რომ ერთს განკერძოებულ კაცს რომლისამე ხალხის ცხოვრების არც ერთს წერტილზე გაჩერება ან უკან დაწევა შეუძლიან და არც მაინცა-და-მაინც ერთობ წინ წაწევა. ხალხის ცხოვრება მუდამ წინ მიისწრაფის, მუდამ წარმატებაში შედის; განკერძოებულ კაცს, თუ ის ბოროტია და გარემოება წყალობს ხალხის ცხოვრების მხოლოთ დროებით ზიანი, იმას ვნება და შეჩერება შეუძლია; თუ ის პირი კეთილი და გენიალურია, შეუძლიან მხოლოთ, ამავე ბედნიერ გარემოებათა წყალობით, ცოტაოდენი ბიჯი წინ წაადგმევინოს.

ამ უკანასკნელ დასთ სიცხეში ერია ფრანც პალაცკი—ჩეხელი მწერალი და პატრიოტი.

ის ისეთს ბედნიერს ვასკვლავზე დაიბადა, როდესაც ბოჰემიის ხალხი ხანგრძლივის ძილის შემდეგ გამოღვიძებას იწყებდა.

ფრანც პალაცკიმ გაახოცხლეველა ეს იდეალები აუხილა, ხალხს თვალი და კეთილ-შობილური, გრძნობა ჩაუნერგა გულში.

რითი? როგორ?

მხოლოთ იმით, რომ ჩეხიის ხალხს იმისი წარსული ცხოვრება მოაგონა; გაახსენა იმის ისტორია; გააცნო იმის დიდი კაცები, იმის მამულისათვის თავ-განწირული შვილები.

თვითონ გულწრფელი პატრიოტი, ალტაცებული მამულის შვილი და ხალხის მეგობარი იყო; თვითონ თაყვანს სცემდა ხალხის კეთილდღეობას, სდევნიდა მონაობას, სულის დამდაბლებას; ავსტრიისაგან თავის დამცირება თავის საკუთარ დამდაბლებად მიაჩნდა, და ეს გრძნობანი, გულმხურვალეთ და წრფელად, მჭევრმეტყველურად გამოთქმული, თავის ხალხსაც ჩაუნერგა გულში, გაუჯდინა ძვალში და რბილში.

თუ ამ უკანასკნელ 50 წლის განმავალობაში ჩეხიის ხალხმა თითქმის მოიგო ის კეთილდღეობა, რომლითაც ახლა სარგებლობს, ამისთვის ერთის მხრით პალაცკის უნდა ემადლიერებოდეს.

ფრანც პალაცკი ერთი უბრალო სოფლის მასწავლებლის შვილი იყო. ღარიბი მამა ყოველს ღონის-ძიებას ხმარობდა, რომ რიგიანი განათლება მიეცა თავის შვილისთვის: ჯერ თვითონ ასწავლიდა; მერე ხუთმეტი წლის რო შეიქნა, პრესბურგის გიმნაზიაში გაგზავნა და შემდეგ ვენაში.

აქ დაუახლოვდა ის გამოჩენილ ფილოლოგს და პატრიოტს შაფარიკს და ამ დღიდამ იწყება პალაცკის გულში სამშობლოს სიყვარული გრძნობის ზრდა. ორივე ერთად ცხოვრებდნენ ვენის ერთს მიყრუებულს ქუჩაზე, მეექვსე ეტაჟში, ორნივე ერთად ოცნებდნენ ბოჰემიის ხალხის მომავალზე და ბედზე, ბაასობდნენ იმაზე—თუ როგორ უნდა ალუძრან ხალხს გულში კეთილდღების სიყვარული.

„ხანდისხან მთელს ღამეებს გათენებამდინ ამ ოცნებაში და ბაასში ატარებდნენ ესენიო“—ამბობს პალაცკის ბიოგრაფიის დამწერი. ისინი ახალ დროების სუნთქვას გრძნობდნენ; მაგრამ ამასთანავე გული უკვდებოდათ, როცა ხედავდნენ, რომ იმათი საყვარელი ხალხი თან-და-თან მცირდებოდა, თან-და-თან ავიწყდებოდა ამ ხალხს თავის ისტორია, ენა, ჩვეულება და სხვა.

ამგვარ გრძნობებმა აუჩინა იმას თავიდამვე ცხოვრების გზა: ის დაადგა თავის ხალხის ისტორიისა და სახალხო პოეზიის შესწავლას. ნიჭიერი, ენერგიული ყმაწვილი გულმხურვალეთ შეუდგა ამ საგანს, რადგან ამის საშუალებით მოელოდა თავის ქვეყნის გაღვიძებას.

პირველი ლიტერატურული შრომა პალაცკი-სა იყო პატარა, წიგნი რომელიც იმან 1818 წელს გამოსცა: „ელემენტები ჩეხური პოეზიისა.“ მერე რამდენიმე სხვა წიგნი დაბეჭდა, რომლებშიაც ჩნდა იმის მეცნიერება და ნიჭი. ამავე ხანებში პალაცკი ჩეხიის ხალხის ისტორიის წერას შეუდგა. ოც-და-ათი წლის განმავალობაში აგროვებდა ამ თხზულებისათვის საჭირო მასალებს და ბოლოს 1866-1868 წ. გამოსცა თავის შესანიშნავი „ისტორია ჩეხიისა,“ რომელიც, მცოდნე კაცების სიტყვით, საუკეთესო საუნჯეს შეადგენს ჩეხიის ლიტერატურისათვის.

პოლიტიკურ ასპარეზზე პალაცკი თითქმის 1830 წელს გამოვიდა. მაგრამ შესამჩნევი ადგილი დაიჭირა მხოლოთ თებერვლის რევოლიუციის დროს (1848 წ.), როდესაც ის პრაგის მმართებლობის რჩევაში მწევრად დანიშნეს.

როგორც ლიტერატურაში ისე პოლიტიკაშიაც პალაცკი მუდამ ერთი იყო: ყველგან ხალხის კეთილდღეობის მებრძოლე, ყველგან მტარვლობისა და დესპოტიზმის მტერი. პალაცკის კარგათ ესმოდა ყველა საზოგადო და საპოლიტიკო მომქმედი პირისათვის უმთავრესი კანონი: რომ პირ-და-პირ, წინდაუხედავად, თავხედურად მოქმედება შეუძლებელია; ამის გამო ის ცოტას უთმობდა თავის მოწინაალმდეგეებსა რომ ბევრი მოეგო იმ საქმისათვის, რომლისათვისაც ასე პატიოსნად შრომობდა.

ს. მ.

ამორჩევისა და, სხვათა შორის, ზოგს ისეთს პირებს უპირებენ ამორჩევას, რომელთაც „სამოქალაქო წესდების“ ძალით, ამის უფლება არა აქვთო. (კორრესპონდენტი ადმინისტრაციასა და პოლიციაში მოსამსახურე პირებზე ლაპარაკობს).

* * *

ბათუმიდამ გვწერენ:

„როდესაც ოსმალოს მთავრობამ განიზრახა და იწყო ბათომ-არტანის შოსსეს გზის გაკეთება თემის სამუალობით, ეზრომის ვალი ფაშის განკარგულებით, ოლქის საგუბერნატორო პრივინციებს უნდა ემუშავებიათ არტანიდგან არტვინამდე და ლაზისტანში ბათომიდგან არტვინამდე; მთავრობამ ხალხს გამოუხადა, რომ ორი გირვანქა ნახევარი პური დღეში თითო მუშას ხაზინიდგან მოგეცემათო. ეზრომის ვალი-ფაშას შეუკრავს პირობა ერთი ეზრომის ვაჭართან, რომელიც რამოდენიმე წელია, რომ ყოველს წელში, მთელ ზაფხულში, ხუთი ათასსზედ მეტს მუშას ამ გზაზედ პურს აძლევდა, ეგრეთვე ბათომის გარნიზონის ბატალიონს და იღებდა უფროსებიდგან და ინჟენერებიდგან კვიტანციებს, რომლითაც ფული უნდა მიელო ოლთის და ბათომის გუბერნიების ხაზინიდგან, თუმცა წლის შესახვედრი ფული სრულიად არც ერთჯერ არ მიუღია, და არც სტამბოლს გაუშვეს საჩივლელად, ამისათვის ამ ვაჭარმა რასაკვირველია პურის მიცემა მოსპო და ამის გამო ამ გზაზედ წრეულსაც მუშაობა ვერ დაიწყეს და ვგონებ, არც დაიწყება, რადგან ამ ორ გუბერნიებში ხალხნი მეტის-მეტის მწუხარებისაგან და ერთმანერთში-ლლეტა წყვისაგან დიდ ღელვაში და შფოთში არიან.

„ჯერ მხოლოდ არდანუჯიდგან არტვინამდის სამი საათის სავალზე ძლივს გაიყვანეს ეს გზა და ეგრეთვე ბათომიდგან სამი საათის სავალის მეტი რაც რომ საძნელო სამუშაო არის, ქვა დარჩენილი, და რაცა შეეხება არდანუჯიდგან არტანამდის, არათუ კეთება დაიწყეს, ხაზიც არ გაუყვანიათ და ალლახმა იცის ამ პლანს ჩვენი მთავრობა როდის შეასრულებს.“

* * *

აი რას იწერებიან სომხურს გაზეთს „მშაკში“ ლოჭინის შკოლის თაობაზე:

„ლოჭინის წყალი და არხი ამ ჟამად თითქმის სრულიად დამშრალია; ამის გამო მცენარეებიც ხმება. თითქმის ყოველ დღე სამი-ოთხი ყმაწვილი ხდება აქ ავათ ციებითა. შვიდს მასწავლებელში ორი მთელი წლის განმავალობაში ავათმყოფობს. შკოლის ექიმს 300 მანეთი ეძლევა წელიწადში ჯამაგირი; წელიწადში ორჯელ მოდის ხოლმე ის აქ, ასე რომ ავათმყოფი შაგირდები იძულებულნი არიან ქალაქში ჩამოვიდნენ იმის სანახავად. ამ შკოლაში კურს-შესრულებულების მომეტებული ნაწილი მეურნეებად სრულებ..თ არ ვარგანან, უფრო ხშირად ისინი მწერლებად შედიან და შვიდ-რვა მანეთს იღებენ თვეში ჯამაგირს.“

* * *

ქართლიდამ გვწერენ, რომ ბორისა და სურამის ახლო-მახლო სოფლებში რაღაც ნაირი პირუტყვის ჭირი გაჩენილა და ბევრი საქონელი დახოცაო. ამას გარდა სოფლის ხალხი უწვიმობისაგან ძალიან შეწუხებული არისო.

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ სურამის მახლობლად სოფელს ტირბაში ამას წინათ ცეცხლი გაჩენილა და თითქმის ორმოცი მოსახლე გლეხი გადამწვარა.

* * *

არაგვის ხეობიდამ ამბავი მოგვივიდა, რომ საშინელი ქათმის ჭირი გაჩენილა და ურიცხვი ქათამი გაუწყვეტია.

* * *

ქუთაისიდამ იწერებიან გაზეთს „მშაკში“, რომ ამას წინათ იქ ერთი სომეხი მირიანოვი მომკვდარა და იქაური სომხის სასწავლებლისსასარგებლოთ ორი დუქანი უანდერძებია.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ახალციხე, 15 მაისს

ახლა მამივიდა ამბავი აჭარიდამ (რადგანაც ამ ახლოს ხანში გაიხსნა მთით გზები) რომ, ამ ჟამად, ხალხი ისეთს მდგომარეობაშია, რომ ჯერ-ჯერობით შიშობენ „დროების“ მიღებასა;—ამისთვის რომ, ოსმალოს მთავრობა თურმე ხალხში მიზეზს ეძებს რამეს და ურალო რამ საგნისათვის მაშინვე ჯარებს გზავნის. ამას იმისათვის ჩადისო, რომ ხალჩლული (სახარჯო) აკლიათ ჩვენ ასკარსაო (ჯარსა), და უნდათ, რომ ხალხს გამოგვაკვებინონო.

მართლაც დასაჯერებელი ამბავია უფრო ამა ქვემორე აღწერილის გარემოების შემდეგ, რომელიც მიამბეს რამდონიმე სარწმუნო პირთა.

ჩილდირის მცხოვრებლები დიდს შეწუხებაში არიან ავაზაკებისაგან; საკვირველი ეს არის, რომ იქაური ადგილის მთავრობა არასფერს ღონისძიებას არ ხმარობადა მოსასპობლად.

ავაზაკები ყოფილან სულ 30 კაცი, ამათ წინამძღომელად ჰყოლიათ ორი განთქმული ავაზაკი: ქორ-ისმაილა და სამად-ტაშ-დემურ-ოღლი (ეს უკანასკნელი ყაზახ-ბორჩალოდამ ყოფილა გაგზავნილი ციმბირში და იქიდგან გამოქცეულია); ხალხს თავიანთი შესაბრალი მდგომიერობა აზრუმის ვალ-ფაშისათვის შეუტყობინებიათ და იმის განკარგულებით 100 სუარი (ცხენოსანი ჯარი) და რამდონიმე ყირილდარები (ჟანდარმები) დაუნიშნამთ დასაჭერათ. ამ საგანზედ ჩილდილერებს დიდი ცდა და თანამგრძნობელობა განუცხადებიათ, კარგათაც უმასპინძლოთ ჯარისათვის, გასძღოლიან წინ და ჩვენს სამზღვარს ახლოს სოფელს ერინჯაში შეუმწყვდევიათ ავაზკები, საიდგანაც ვერცერთი მათგანი ვერ გაექცეოდნენ უვნებლათ.

უზბაშს, (ასისთავის), რა უნახამს ესეთი ხალხის ცდა და აუცილებრივი შებყრობა ავაზაკებისა, მაშინვე ბუკი დაუკვრევინებია, ჯარი უკან დაუბრუნებია და სასტიკის ბრძანებით დაუშლია თოფის სროლაც. ამ გვარი ქცევით მიუცია შემთხვევა გაქცევის.

ეს გარემოება ხალხს მაშინვე სტამბოლს და აზრუმს ტელეგრამით უცოდინებიათ ყარსიდამ; იქიდგან მოსულა ბრძანება იმ უზ-ბაშის დატუსაღებისა და 400 სუარიც კიდევ სხვა დაუნიშნამთ 30 ათი კაცის დასაჭერათ (გასაჟლეტათ). ჯერ-ჯერობით ამ 500 სუარსაც კიდევ ხალხი ვერ დაუხსნია ამ ავაზაკებისაგან; ისინი თურმე კიდევ ისევ თავისუფლად ცარცვენ ხალხს და სუვარები ასობით სოფლიდამ სოფელში დადიან და სადაც ეწვევიან,—კიდობნის დაცარიელებას ვიღა ჩივის, ახალ ჭირნახულს კალიაზე უარეს აოხრებას აყენებენ.

ერთს პატარა სოფელში, ორიოდ დღე დარჩნენ თურმე სუარები და იმათ უზ-ბაშმა დაუწყო თურმე მუსაიფი ერთ მოხუცს.—სხვათა შორის უთხრა:

— ახლა ხომ აღარ გეშინიათ ავაზაკებისაგანო?

ახლა რიღასი უნდა გვეშინოდესო, ისინი წელს აღარ გვეწვევიანო, რაკი გაიგებენ, რომ თქვენ დასწვრით სტუმრობაო!

ნ. მ.

მოზდოკიდამ, მაისის 15-ს

### აქაურ ამინდზედ და აქაურ ქართველებზედ

(გაგრძელება*)

აქაურ ქართველებს, რომლების რიცხვი ახლა სამასამდის მიაწევს, უჭერიათ ჩრდილოეთი ნაწილი ქალაქისა. თქვენ ამათი ადგილ-საცხოვრებელი შეგიძლიანთ თითონ იპოვნოთ: ის ალაგი, საცა სახლებს და გარშემოს უფრო სიღარიბე და დაუდევნელობა ეტყობა, საცა მომეტებული ნაწილი სახლებისა ჩამოფუშული, დაძველებული და გაოხრებულია,—არის ამათი ბინა. ზოგს სრულებით თავი დაუნებებია და წასულან აქეთ-იქით—ან მოჯამაგირეთ, ან სავაჭროთ; ზოგი ვეღარა სძლებს, რომ გაამაგროს და ააშენოს, ზოგი აქაურ ვაჭარ-სომხებთან მოჯამაგირეთ შესულან, ზოგი სოფლათ გასულა; ერთის სიტყვით, აქაური ქართველები „დადარიბებულან,“ როგორც აქ ამბობენ. აქედამა სჩანს, რომ ადრევე ესენი ასე ღარიბათ არ ყოფილან.

რისგან მოსვლიათ ასე?

ბევრი რამ მიზეზი უნდა იყოს ამისი, მაგრამ მე აქ უჩვენებ მარტო ორს: პირველი,—ეს ქართველის თვისებანი, მიდრეკილებანი, რომლის მეოხებით მას უფრო უყვარს და უფრო ეკიდება პურსა და ღვინოს, გუთანსა და ვენახს, და ერიდება ვაჭრობას, დუქანს და ადლს, და ასრულებს ამ ბუნებისა და ისტორიისაგან მოკერძებულ ანდერძს, [illegible]—ამისთვის ცუდი ბოლოც ელოდებოდეს. მეორე — ქალაქის გავრცელება და „განათლება“, ქალაქურათ და განათლებულად ცხოვრება, და არა ქალაქური ხელობა და მოქმედება, მოკლეთ—წარმოების და მოთხოვნილების შეუფარდებლობა, უთანასწორობა. გავშინჯოთ ორივე.

ეს ალაგი ქართველებს ალბათ იმიტომ ამოურჩევიათ, რომ აქაური ჰავის, ამინდის და ნიადაგის თვისება მათ ცოტა ნებას აძლევდა, რომ თავის მამაპაპური ვენახი გაეჭიმათ, წითელი „ნუნუა“ დაეყენებინათ და ეს სამშობლოდამ გარდმოხწევის დანაკლისიც აეთავებინათ. აქ დასახლებულმა ქართველმა ალბათ ბევრი ყური არ მიუგდო მას, რომ აქ „კახური“ არ იქნება და ეს ვენახი იმას ბევრ სარგებლობას ვერ მოუტანს,—ოღონდ იყოს რამ კახურის მაგვარი და ცოტათ მაინც გააქარვებინოს მისი დარდი და დააკმაყოფილოს მისი ინსტინკტი. მარნის მაგიერათ—ქოხი გააკეთა, ქვევრის მაგიერათ—კასრი (ბოჩკა), საწნახლის მაგიერათ—პარკი შეკერა, და დამშვიდებული მოუჯდა გვერდით თავის ვენახს. არც ხშირად ვაზების დაძრობა, არც უვარგისი და მჟავე ყურძენი და ხეხილი, უვარგისი ღვინო, არც ახლა ცხადი ვენახის უსარგებლობა, ან ცოტა სარგებელი—იმას არ აგონებდნენ და არ აგონებენ და მასში არ ნერგავენ ორგულობას და სიძულილს ვენახისადმი და ღვინოსადმი.

ამას რომ მიუერთოთ ცოტა მიწის შემუშავება, ძროხის ყოლა და პატარა ვაჭრობა, მაშინ წარმოიდგენთ აქაურ ქართველის ცხოვრების სახსარს. შესცდება, თუ ვინმე იფიქრა, ვითომ აქაური ქართველი ვენახის სარგებლობაში დარწმუნებულია,—არა, ის ვენახს ეჭიდება ჩვეულებისამებრ, ეჭიდება მიტომ, რომ ამგვარი საქმიანობა იმას ნებას აძლევს ერთ ალაგზედ იჯდეს, მშვიდად იყვეს. ვენახი მისი მოსაგონებელი და დროს გასატარებელი ალაგი იყო, და თავის დროს ეს მას არაფერს უშლიდა.

მას დროს მისი ცხოვრება არ იყო „ქალაქური“. სახლი როგორც შიგნით, ისეც გარეთ მორთულებით ჰქონდა უბრალო, სასმელში და საჭმელში ის იყო ზომიერი და ბევრს შექცევას არ მისდევდა, „სტოლებისა“, კლუბებისა, ცირკებისა, ვეჩერებისს იმან არა იცოდა-რა; ტანისამოსი როგორც მისი, ისეც მისი მეუღლისა იყო უბრალო; ეს უკანასკნელი არ ითხოვდა, რომ შემკობილიყო ათი-ათასი ნაკუწიანი და მოხლართული კაბებით, კრინოლინებით, შლეიფებით და სხვა ათასფერ და ათასნაირ „ჩირთი-ფირთით“. ეს იყო მისი ნამდვილი მეუღლე ყველაფერში. ერთის სიტყვით, თუ მისი ცხოვრება არ იყო ბედნიერი, ახლანდელზედ უკეთესი მაინც იყო.

მაგრამ დრო შეიცვალა. ქალაქი გადიდდა, ან, უკეთა ვსთქვათ, სოფელი ქალაქათ გადაიქცა. განათლე-

*) „დროება“, № 52.

ბის სხივები მოეფინა აქაურ არე-მარეს, მაგრამ, როგორც ხშირათ ხდება, კაცს ამ სხივებისაგან ან ძლიერ დასცხა, ან ძლიერ შესცივდა. ხომ იცით, სხვაგნიდამ მოსული უხეირო და დამახინჯებული განათლება რას მოუტანს ხოლმე მისთვის მოუმზადებელ კაცს; ხომ იცით, რომ გაუნათლებელ კაცს ძლიერ გეარეჯიმებული მარტო გარეგანი გრძნობები აქვს, და მისთვის მიმზიდველი, არის „ზიპილ-პიპილო" ცივილიზაციისა, მისი გარეგანი მხარე, ის, რაც მისაწდომი და გასაგებია; მისი შინაგანი, კეთილი მხარეები, საუბედუროთ, დამალულნი და დამარხულნი ძლიერ ღრმათ, წამხდარი ქერქის ქვეშ, გაუგებელნი და გამოუყენებელნი, დარჩებიან ხოლმე. ეს განათლება მარტო ათასნაირ გემოვნებას ხსნის კაცებში, და დასატკბუნებელი საგნებიც ბევრი უნდება, რომლების შოვნა იმ ხელობით და იმ გვარად, რა ხელობით და როგორც კაცი აქამდის შრომობდა, შეუძლებელია.

ამას მოჰყო ვაჭრობა. აქამდისინ პაწაწინა ვაჭრობა ქართველის ხელში იყო, ამას იქით მასთან მოვიდა ვაჭრად დასახული და ვაჭრად გამოსული კაცი, სპეციალისტი და ნიჭიერი თავის საქმეში, გაუკეთა გვერდით დუქანი, გეეჯიბრა, მოუტანა იმისი გემოვნების და საქალაქო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი საგნები და ბევრი სხვა რამ უცნაური; რაც უნდოდა, თითონ მიჰქონდა და ყიდულობდა, რაც არ უნდოდა, ძალად ხელში უდებდნენ.—„მამა ჯან, წაიღე, გაშინჯე, კარგი რამ არის.." აი აქ ამ დროს დაისახა ამ ორი ხელობის და ტომის ხალხს შუა ის ერთმანეთთან მომავალი კავშირი და სურათი, რომელიც მდაბიურად და ხერხიანად გამოხატა ჩვენმა ნიჭიერმა პოეტ-ფელეტონისტმა კოლოს და ბუზის მაასში.

პირდაპირს და მართალ ქართველს სად შეეძლო თავის ამხანაგისთვის ჯიბრი გაეწია და მას არ ჩამორჩომოდა. მისი დამჯდრობა, სიმშვიდე, უძრავი ბინის სიყვარული, ყველა ეს ბრძოლაში უკან აყენებდნენ. ქართველს ეჯავრება მოძრაობა, ფაცაფუცი, აქეთ-იქით ხეტიალი; ის კმარობს იმას, რაც მის არსებითს მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, და ამის იქით მატერიალური სიმდიდრის მოსაპოებლად სიარულის ჩვეულება მასში სუსტია. ყველა საქმე, ხელობა მისი ტრიალებს ერთს ალაგზედ, მიმართულია მისთვის, რომ „მამულის პატრონი" გახდეს.

აგერ ჩემ სახლის პატრონს, აქაურ ქართველს დააცქერდით. ის ვაჭრობაშიაც ყოფილა, და ამ მხრით მასში არის საკმარი ნიჭი და პრაქტიკული ცოდნა, ასე რომ ერთს ვაჭარსაცარ დაუვარდება. ახლა თავის სახლში დაბინავებული, თავის ცოლშვილში „ბედნიერ" ცხოვრებას ატარებს. წამოდგება დილით გვიან, ჩაივლის თავის ვენახში, დაავლებს თვალს თავის ვაზებს და მუშებს და სადილად მოვა შინ. სადილს უკან განისვენებს, და საღამოზედ წამოდგება და ისევ ვენახს ჩაუვლის, თვალს დაავლებს, თუ რამ ყრილობა მოხდა, იქ წავა.—დადის მშვიდად, ნელა, ლაპარაკობს დალაგებით. ასე მიდის ამისი ყოველდღიური ცხოვრება, თუმცა ეს არ არის მდიდარი, საჭიროობს ბევრს და დაუმალავად პირ-და-პირ აგიხსნისთ, რომ მას ვენახი ხანდისხან ხარჯსაც ვერ დაუფარავს, და საზოგადოთ ცოტა სარგებელი გამოდის, „მაგრამ საბოლოო, საშვილიშვილო მამულია..."

ასე არის თითქმის სულ ქართველობა, და ეჭვი არ არის, რომ იმათი ბალები სავაჭრო საქმეზედ მიმართული იყვნენ, რომ ისინი ამ „საბოლოო მამულს" თავიდამ გამოეცლიდნენ, დარწმუნებულნი, რომ მათ მშვენიერს და საფუძვლიან აზრს და მიდრეკილებას ზოგ ნიადაგზედ და ზოგ ამინდს ქვეშ მათთვის სარგებლობა არა აქვს, რომ ამ აზრით და ამ მიდრეკილებით სარგებლობს ნისი მეზობელი კოლო და ზურგიდამ სისხლსა სწოვს და წვრილ-წვრილათ გადააქვს ყველა მისი მოძრავი და უძრავი ქონება თავისკენ,—რომ ყველას ამას გაიგებდნენ, მათი ცხოვრება მაღლა აიწევდა. საცა წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო,—თუ მთლად ალებული ამ ანდაზის აზრი უსაფუძლოა და უგუნურებაა, ზოგ შემთხვევაში ამაში შეცულ აზრის უცოდნელობა და მოუხმარებლობა ბოროტს მოუტანს კაცს.

აქაური ქართველის ძალი და შრომა ორად გაყოფილია, იმ ქართველისა, რომელსაც კიდე ვენახი დარჩომია ხელში, თორემ სხვები, რომლებსაც, სიღარიბისაგამო ვენახი გაუყიდნიათ, ან დაუგირავებიათ, ან ვალში მიუციათ,—ან მოჯამაგირეთ ვისმე უდგას; ან მძიმე მუშაობით, ქირით აცხოვრებს თავის სახლობას, ან სხვა რასმე მცირე შემოსავლიან ხელობას მიჰყვება.—ზემოთ მოხსენებული ქართველები ვენახებსაც მისდევენ და ცოტად ვაჭრობაშიაც არიან შესულნი, რადგანაც უამისოთ ისინი შიმშილით უნდა მოკვდნენ. ორს საქმეს მიჰყვებიან, და ვერცერთი ხეირიანათ ვერ მიჰყავსთ; ამიტომ ვაჭრობაში იმათ უკანასკნელი ალაგი უჭირიათ; მათ რიცხვში თავისუფალ ვაჭარს ორსაც ვერ იპოვით, ცსენი „პრიკაშჩიკების" იქით ვეღარ წასულან.

აქაური ვაჭრები ძლიერ დასცინიან ქართველების აქაურ მებაღეობას და მათ ამ ბაღებზედ დიდ იმედებს. ისინი ამ საქმეს ყურს არ უგდებენ. მომეტებული ნაწილი ვენახები, როგორც სახლები, იმათ ხელში გადასულან და ბოლოს სრულებითაც გადავლენ, მაგრამ ამ ვენახებს ვაჭრები სარგებლობისთვის კი არ იძენენ,—დროს გასატარებლათ, სასტუმროთ, იძენენ უფრო მდიდრები, რომლებიც მათ სარგებლობაში სრულებითაც არ საჭიროობენ და ვენახებზედ დანახარჯი მათთვის არაფერს არ შეადგენს.

(დასასრული შემდეგ №-ში)

# უცხო ქვეყნები

**ოსმალეთი.** ამ ორი დღის განმავალობაში მაინცა-და-მაინც შესანიშნავი ამბავი არა მოსულარა. მხოლოთ „თფილისის მოამბეში" დაბეჭდილი ტელეგრამმა გვაცნობებს, ვითომც პარიჟში გავრცელებულიყოს ხმა, რომ სერბიამ ოსმალეთს ომი გამოუცხადაო. მაგრამ ამის თაობაზე ჯერ ნამდვილი არა ვიცით რაო.

კავალერი ნიგრა, რომელიც იტალიის მხრით რუსეთის სასახლესთან ელჩად დანიშნეს, როგორც ამბობენ, ამჟამად ემსში არის გაგზავნილი ხელმწიფე იმპერატორთან მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე მოსალაპარაკებლად. იმედი აქვთ, რომ ეს ნიგრა თავის დანიშნულებას ამ შემთხვევაში კარგათ შეასრულებს, ე. ი. ომიანობის ატეხას თავიდამ აიცილებს ევროპას.

— რაგუზიდამ მოვიდა დეპეშა, რომ ამ თვის 26-ს ბოსნიის ინსურგენტებმა (აჯანყებულებმა) ოსმალოს ჯარი დაამარცხესო. ახლა ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ოსმალოს მმართებლობა მზათ არის, დროებით მშვიდობიანობა ჩამოაგდოს აჯანყებულებთან და შემდეგ, თუ მოსახერხებელი იქნება, დააკმაყოფილოს ყველა განდგომილები.

— რუსულს გაზეთებში დაბეჭდილის ტელეგრამმებიდამ ვტყობულობთ, რომ ინგლისის ქვემო და ზემო პალატაში სტამბოლის რევოლიუციას, ძველი სულთანის აბდულ-აზისის ტახტიდამ გადაყენებას, სიკვდილსა და ახალი სულთანის მურად ეფენდის გამეფებას დიდი მღელვარება მოუხდენია.

საზოგადოებათა (ქვემო) პალატის სხდომაში პირველ მინისტრს დიზრაელის, სხვათა შორის, უთქვამს, რომ უეჭველიაო, რომ აღმოსავლეთური (ოსმალეთის) საქმეები კრიტიკულ მდგომარეობაში არისო, მთელს ევროპას შეეხება ყველა ის, რაც იქ ამდღეებში მომხდარა და შეიძლება რომ ამ გარემოებამ საზოგადო განხეთქილება მოახდინოს ევროპის ხალხებს შუაო; მაგრამ რაც შეეხება ინგლისს, იმის სარგებლობა კი ყოველს შემთხვევაში მშვიდობიანობის დაცვას მოითხოვსო, და ამის გამო ჩვენ (ე. ი. მმართებლობა) ყოველ ღონის-ძიებას ვხმარობთ, რომ ასეთ ნაირად აღელვებული და აღშფოთებული ხალხები დავამშვიდობოთ, და ომიანობა ავაცილოთ თავიდამ ევროპასაო.

ლორდების პალატაში ლორდ დერბიმ სთქვა: სტამბოლის რევოლიუცია ოსმალოს ხალხის ნებითა და წინათვე განსაზღვრულის პლანით მოხდაო; არცერთს გარეშე სახელმწიფოს ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიაო. ეს სიტყვა ლორდ დერბის, უეჭველია, იმ გარემოებამ ათქმევინა, რომ გაზეთებში სწერდნენ ამას წინათ, რომ სულ ეს სტამბოლის რევოლიუცია ინგლისის ელჩის—ლორდ ელიოტის ბრალი არისო, რომელმაც ბევრი ოინების წყალობით ისეთი მმართებლობა დააყენა ახლა ოსმალეთში, რომელიც ყველაფერში ინგლისს ყურ-მოჭრილი ყმა იქნება და რუსეთს კი გაელენა მოესპობა ოსმალოს საქმეებში.

—

**საფრანგეთი.** მაისის 10-ს საფრანგეთის სენატში იყო უკანასკნელი სჯა იმ პოლიტიკურ დამნაშავეების პატიების (ამნისტიის) თაობაზე, რომელთაც კომუნის არეულობაში მიიღეს მონაწილეობა პარიჟში 1871 წელს, 18 მარტს. სენატში ეს წინადადება ვიქტორ-ჰიუგომ შეიტანა; ამანვე წარმოსთქვა სიტყვა, რომლიდამაც ზოგიერთი ალაგები მოგვყავს:

„თქვენ მეუბნებით, რომ პატიების უფლება აღმასრულებელს უფლებას (მაკ-მაჰონს) დაუთმოთო? როგორ? ხალხმა თავის უფლება სხვას დაუთმოს? რათაო? ნუთუ თვითონ ჩვენ და ნაციონალურ კრებას არ შეგვიძლია ამ კეთილი საქმის გადაწყვეტა? თქვენ შეგიძლიანთ უარჰყოთ ეს ჩვენი წინადადება; მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ ამით საქმე არ გადაწყდება: მე თუ არა, სხვა შემოიტანს შემდეგში ჩვენს კრებაში ამავე წინადადებას და კრება იძულებული იქნება აპატიოს ამ დამნაშავეებს."

შემდეგ ვიქტორ ჰიუგომ გაიხსენა ნაპოლეონ მესამის ისტორია:

„ბარდაშალეთ ისტორია. ერთხელ ერთს დეკემბრის ღამეს ერთმა კაცმა, რომელმაც რესპუბლიკას ერთგულება და სამსახური შეჰფიცა, უდიდესი დანაშაულობა ჩაიდინა; მონმარტრის ბულვარი სისხლით შეიღება; დიდხანს იღვრებოდა უმანკო ხალხის სისხლი; უანგარიშო ხალხი დასაჯა სიკვდილით, მთელი საფრანგეთი შეაძრწუნა ამ კაცმა. ეს დეკემბრის დანაშაულობა მარტო პოლიტიკური დანაშაულობა კი არა, სისხლის სამართლის დანაშაულობაც იყო. ეს საშინელი დამნაშავე ოცი წლის განმავალობაში განაგებდა საფრანგეთის ბედს. ის ყველასაგან პატივცემული იყო, ყველა ეკლესიებში იმის დღეგრძელობისათვის ლოცულობდნენ, იმის მომხრეები ნეტარებაში, განცხრომაში ატარებდნენ ცხოვრებას! ეს სამართალია?! ნუთუ სამართალია, რომ ამისთანა დამნაშავე ამნაირად ასაჩუქრებენ და კომუნაში მონაწილეთ კი ასე მძიმედ სჯიან? მე ვთხოულობ, რომ ყველა ის პირნი, რომელთაც 18 მარტის პარიჟის არეულობაში (კომუნაში) მონაწილეობა მიუღიათ, გაანთავისუფლოთ დასჯისაგან; მე ვთხოულობ, რომ ყველას ამათ ამნისტია გამოუცხადოს სენატმა და ნაციონალურ კრებამ!"

—

**სერბია.** ამბობენ, რომ სერბიის მმართებლობა დიდს მზადებაში არისო, საომრად ემზადებაო. მმართებლობა კი აცხადებს, რომ იმას განზრახვა არა აქვს ოსმალოს დაეცეს, მხოლოთ თავის თავის დასაცველად ემზადებაო.

# ნარევი

ამ მაისის დამდეგს პარიჟში დაასაფლავეს გამოჩენილი საფრანგეთის ისტორიკოსი მიშლე, რომელიც აქამდე სადაც სოფელში იყო დამარხული. დიდი ამბავი ყოფილა ამ დროს პარიჟში: საფრანგეთიდამ და უცხო ქვეყნებიდამ ბევრი სწავლულები (იმის ადრინდელი შეგირდები) და სტუდენტები მოსულან, რათა უკანასკნელი პატივი ეცათ მიცვალებულისათვის.

შემდეგ სტუდენტები შეკრებილან ერთად და ნდომებიათ მოლაპარაკება „ხალხთა-შორის სტუდენტების კონგრესის" შესახებ, რომელიც ყოველ წლობით უნდა შეკრიბოს ხან ერთის და ხან მეორე ქალაქში და სტუდენტების საზოგადო საქმეებზე მოლაპარაკებს. მაგრამ პოლიციამ კრებაზედვე, რომელზედაც სხვა და სხვა ქვეყნებიდამ მოსული 250 სტუდენტი ყოფილა, არეულობა მოახდინა, რადგან ფრანცუზის სტუდენტებს არ ნდომებიათ, რომ გერმანიელი სტუდენტებს ამ საქმეში რაიმე მონაწილეობა მიეღოთ. „თქვენ არა ხართ ღირსი, რომ ამგვარ საქმეში გაგირიოთ!" უთქვამთ ერთს ფრანცუზს ახალგაზდას და ამ სიტყვების შემდეგ, კრებაში არეულობა მომხდარა, პოლიცია მოსულა და კრება მოუშლია.

* *
*

ერთს რუსულს გაზეთში იწერებიან პერმიდამ, რომ ამ ქალაქის მომრიგებელ მოსამართლესთან ამას წინათ შემდეგი ყურადღების ღირსი საქმე განუხილავთ:

იქაურ საქალებო გიმნაზიის ერთს ახალგაზდა 17 წლის ქალს თავის ამხანაგისათვის ხავერდის პალტო მოუპარავს და გაუყიდნია. სასამართლოში ისეთი გარემოებები ამოჩნდა, რომ მოსამართლეებს არც კი უნდა გაემტყუვნებიათ ეს ქალი: ის ქალი ობოლი და ყოვლად უსაშუალებო ქალია თურმე. ჩინებულად სწავლობს; ერთს ეილაცა ღარიბ დედაკაცთან ცხოვრებდა და მთელი კვირაობით ხანდისხან ცარიელი ხმელი პურისა და წყლის მეტი სხვა საჭმელი არა ჰქონდა რა. წიგნს ცეცხლთან ჰკითხულობდა, რადგან იმდენი საშუალება არ ჰქონდა, რომ სანთელი ეყიდნა. ერთი პერანგის მეტი არ მოებძოდა და რომ წმინდათ ევლო გიმნაზიაში, ღამე გაიხდიდა, გარეცხდა, გააშრობდა და მეორე დღეს დააუთავებდა, ჩაიცვამდა და ისე მიდიოდა. თუმცა ამისთანა გაჭირებაში იყო, მაგრამ, როგორც ზევით ვამბობთ, მაინც ძალიან კარგათ სწავლობდა.

ამ ქალმა მოჰპარა თავის ამხანაგს ხავერდის მოსასხამი, რომელიც იმ წამსვე გაჰყიდა თურმე ცხრა მანეთად და ამ ფულით წიგნები იყიდა, წაღები და ამას გარდა დანარჩენი შვიდი მანეთი გიმნაზიაში შეიტანა სწავლის ფასად, რადგან უამისოთ გამოგდებას უპირებდნენ.

სასამართლომ ამ საბრალო ქალს სამი კვირით სიპყრობილეში ჩამწყვდევა გადაუწყვიტა. მაყურებელ საზოგადოებაზე ამ გადაწყვეტილებამ ძალიან სამწუხარო და ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა თურმე.

* *
*

ამ თვის 26-ს პარიჟში მიცვალებულა საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი ქალი—ჟორჟ ზანდი.

# განცხადებანი

## თფილისის სააზნაურო ბანკის გამგეობისაგან

თფილისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ ამ წლის 27 მაისიდამ, შემდეგ გამოცხადებამდი, ბანკი ღია იქნება ყოველ უქმ დღე, დღეებს გარდა, დილის 8 საათიდამ ვიდრე შუადღემდე, და სესხის მიცემა იქნება მხოლოთ ერთხელ კვირაში, ხუთშაბათობით.

(3—2)

უფ. ზაქ. ჭრიჭუროვის, ვართანოვის და ქალაქის სხვა წიგნის მაღაზიებში ისყიდება ახლად გამოსული წიგნი:

## BIBLIOGRAPHIA
## CAUCASICA et TRANSCAUCASICA

სისტემატიური კატალოგი ნაბეჭდ თხზულებებისა კავკასიის აქეთა და იქითა მხარეზე და აგრეთვე კავკასიის ხალხებზე.

გამოცემული უ. მ. მანსარავისაგან, პეტერბურღს.

ფასი წიგნის მიაღაზიებისთვის—8 მან., ცალკე პირებისათვის, რომელნიც თითო წიგნს ჰყიდულობენ—10 მან.

(3—3)

## ტაგლიცა თფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის

გირაოს ფურცლების მეორე ტირაჟისა, რომელიც მოხდა ამ 1876 წლის 2 მაისს, 6,200 მანეთისა.

**I სერიისა.**

ქალაქის მამულებისა, 18 წლისა და 7 თვის.

100 მანეთის ღირსებისა: №№ 20, 23, 35, 46, 93, 100 და 118.

**II სერიისა.**

ქალაქის მამულებისა, 27½ წლისა.

100—მან. ღირსებისა: №№ 48, 193, 213 და 218.
500—მან. ღირსებისა: №№ 77, 82 და 92.
1,000—მან. ღირსებისა: №№ 60 და 185

სოფლის მამულების, 54½ წლისა

100—მან. ღირსებისა: №№ 27 და 61.

**III სერიისა.**

ქალაქის მამულებისა, 27½ წლისა

100—მან. ღირსებისა: №№ 3, 10, 11 და 13.
500—მან. ღირსებისა: №№ 6 და 24.

**ფულის მიღება** ტირაჟში გამოსულის გირაოს ფურცლებისა და აგრეთვე გირაოს ფურცლების კუპონების შეიძლება:

თფილისში—საადგილ-მამულო ბანკში;
ს.-პეტერბურღს—რუსის ბანკში გარეშე ვაჭრობისა;
მოსკოვს—მოსკოვის სავაჭრო ბანკში;
ოდესსას—ოდესის კომერციულ ბანკში;
კიევს—კიევის საწარმოებელ ბანკში;
ხარკოვს—ხარკოვის ქალაქის სავაჭრო ბანკში
ვარშავას—ვარშავის უჩოტნის ბანკში

ტირაჟში ამოსული გირაოს ფურცლების სარგებელი არ მოისპობა 1876 წლის 1 ივნისამდე და ამ რიცხვიდამ ბანკი დაიწყებს ხსენებული გირაოს ფურცლების გამოსყიდვას; იმ პირთ, რომელნიც ვადაზე ადრე მოინდომებენ ფულის მიღებას, შეუძლიანთ როგორც თფილისის საადგილ-მამულო აგრეთვე სხვა ზემო-ხსენებულ ბანკებში მიიღონ ფული მხოლოთ წლიურის ანგარიშით, 6% სარგებლის გამორიცხვით.

**შენიშნვა.** გამოსასყიდ გირაოს ფურცლებზე ყველა კუპონები უნდა იყოს 1 ივლისის 1876 წლიდამ, და თუ ზოგიერთი ამ კუპონთაგანი დააკლდება, მაშინ იმათი ფასი გირაოს ფურცლების მისაცემ ფულში გამოირიცხება.

(2—1)

## გაიხსნა ახალი სარძეო სარდაფი „კეკეთი"

სადაც შეიძლება შემდეგ ნაწარმოებთ მიღება: კარაქისა, ნაღებისა, უმის რძის, გარდადუღებული რძისა, ყველისა, მაწვნისა, ხაჭოსა და სმეტანისა. ფასის შეტყობა შეიძლება სარძეო სარდაფში, რომელიც იმყოფება სასახლის მაედანზე, ზუბუროვის სახლში, მუზეუმის პირდაპირ.

ზაფხულში სარძეო სარდაფის განყოფილება იქნება კოჯორში.

(6—6)

## თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

უმაღლესის მთავრობის ნებართვით გასულ მაისის 8-ს მოისპო მანეთის გადასახადი, რომელიც ქალაქის მუშებზე და მოსამსახურეებზე იყო დანიშნული. ამ გადასახადის მეიჯარადრები გადაყენებულნი არიან და შემდეგში გადასახადი მოიკრიბება ქალაქის გამგეობის განსაკუთრებულის განკარგულებით. ქალაქის გამგეობა საჭიროდ რაცხს, რომ ეს ამბავი საყოველთაოთ საცნობელად გამოაცხადოს.

(3—3)

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ—ორშაბ. ნასად. 3 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

## ფოშტა

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს —ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. პახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:
თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 23 მაისს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 32 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 334 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 100 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 203 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 201 | 75 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | 94 | — |
| ხერსონის ბანკის (5½) | 88 | — |
| მოსკოვის (5%) | 86 | 75 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 172 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 530 | — |
| კავკაზის და მერკურის | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 29 მაისს | | |
| პური შორაგალის ფთ. | — | 80 |
| ქერი ფუთი. | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 5 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი. | 6 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 60 |
| —ცხვრისა, ლიტრა. | — | 70 |
| სპირტი, ვედრო. | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 7 | 10 |
| —ფხვნილი ფუთი. | 6 | — |
| ყავა გრგვალი ფუთი. | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. | 6 | 18 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Мая 1876 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.